დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლა - გეგმიური მონიტორინგი დოკუმენტების შესწავლით)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
მამუკა ხამხაძე
წევრი: ანნა ბედენაშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230078340

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Meoresviri1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577317840

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 26 0000464261 22/04/2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების #MES 6 26 0000464261 22/04/2026 „სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის მიერ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ საფუძველზე, მიმდინარე წლის მაისში განხორციელდა აღნიშნული სკოლის გეგმიური მონიტორინგი დოკუმენტების შესწავლით. **ექსპერტების ჯგუფს ბრძანებით დაევალა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა" ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება (I სტანდარტის - სკოლის ფილოსოფია).

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მ/წლის 13 მაისს ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ სკოლის დირექტორს და მოეპოვებინათ საჭირო ინფორმაცია I სტანდარტის კომპონენტებთან დაკავშირებით და გამოეთხოვათ დამატებითი დოკუმენტაცია.

გეგმიური მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის დოკუმენტაცია, რომლის დროსაც ექსპერტებმა აქცენტი გააკეთეს სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, მარეგულირებელ დოკუმენტებთან ამ პროცესების შესაბამისობაზე და გამოკვეთეს რიგი გარემოებები. სკოლის მიმართ ავტორიზაციის პროცესის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი რეკომენდაცია პირველი სტანდარტის ნაწილში. **1.1. კომპონენტი (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) შეფასებული იყო, როგორც შეესაბამება, 1.2. კომპონენტი (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) - მეტწილად შეესაბამება. კერძოდ, ინდიკატორი 1.2.1.4. - სამოქმედო გეგმაში სკოლას განსაზღვრული არ ჰქონდა ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. დასკვნაში გაცემული იყო შესაბამისი რეკომენდაცია ინდიკატორი 1.2.1.4.-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.**

მონიტორინგის მიმდინარეობისას, სკოლის დირექციამ ითანამშრომლა ექსპერტებთან, წარმოადგინა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, მათ შორის მოთხოვნული დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ეფექტური კომუნიკაცია.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	221

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოდგინა არგუმენტირებული პოზიცია (MES 4 26 0000716269 15/06/2026), რომლითაც სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გამოტქმული რჩევები და რეკომენდაციები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ავტორიზაციის პირობებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის შესრულება - 2026-2027 ს/წ სამოქმედო გეგმის სრული შესაბამისობა სკოლის 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმის მიზნებთან (სამოქმედო გეგმის შემუშავება, გაზიარება და დამტკიცება) და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება გეგმით დათქმულ ვადებში 15.06.2026 - 30.06.2027.
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის შესრულება - სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისთვის კონკრეტული ნაბიჯების, რაოდენობრივი ინდიკატორების და საჭირო მატერიალური რესურსების დეტალური გაწერა გეგმით დათქმულ ვადებში 15.06.2026 – 10.09.2026.
ინდიკატორი N1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის შესრულება - სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების ატვირთვა სკოლის ვებ-გვერდზე გეგმით დათქმულ ვადებში 15.06.202 – 18.06.2026.

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	**მიზანშეწონილია** დაგეგმვის მეთოდოლოგიაში პროცესების აღწერის დროს სკოლამ მიუთითის სკოლაში მოქმედი რეალური სტრუქტურული ერთეულები „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამის დასახელებების მიხედვით, რომლებიც უფლებამოსილი არიან დაამტკიცონ სკოლის სტრატეგიული დოკუმენტები. **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**მიზანშეწონილია** დაგეგმვის დოკუმენტების შედგენის პროცესში სკოლამ მეტ სიზუსტითა და ყურადღებით იმუშავოს დეტალებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხასიათის შეცდომები ოფიციალურ დოკუმენტაციაში და არ მოხდეს სკოლაში არსებული სხვადასხვ სტრუქტურული რგოლების/სამუშაო ჯგუფების ფუნქციების აღრევა. **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	**მიზანშეწონილია** სკოლამ ყოველწლიური თვითშეფასება განახორციელოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის ერთიანი დოკუმენტის ფორმატში, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება კონკრეტულ სასწავლო წელს სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი და დაგეგმილი აქტივობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას - ყოველწლიური თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებას ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, სადაც უნდა გამოჩნდეს გამოვლენილ გამოწვევებთან გამკლავების გზები. **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების	**მიზანშეწონილია,** სამოქმედო გეგმაში აქტივობების გაწერის დროს აქტივობებ მოცემული იყოს კონკრეტული ნაბიჯების სახით, რომლებიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ პერიოდში და ეს აქტივობები ასახავდეს

	გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ უფრო კონკრეტულ ქმედებებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სკოლაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 2 და 3 ოქტომბერს - პირველადი ავტორიზაციის გავლის დროს, ავტორიზაციის დასკვნის მიხედვით პირველ სტანდარტში ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია #1.2.1.4. ინდიკატორთან დაკავშირებით.

#	ინდიკატორი	რეკომენდაცია	შესრულების სტატუსი
1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.11.2023 შეიტანოს ცვლილებები სამოქმედო გეგმაში - განსაზღვროს ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	**არ შესრულდა** (შესაბამისობის გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობა)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლამ განახლებულ ფილოსოფიაზე მუშაობა დაიწყო 2025 წლის მაისის თვეში. ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით ჩამოყალიბდა:

1. 2023 წლის 10 მაისს (ბრძანება N2-51) **შეიქმნა სამუშაო შიდა ჯგუფი,** რომელიც პასუხისმგებელი იყო სკოლის ფილოსოფიის საკითხებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განვითარების სტრატეგიული გეგმის შექმნაზე.
2. **დაიგეგმა ღია კარის დღე** საბაზო-საშუალო საფეხურის მშობლებისთვის, სადაც სკოლის დირექტორმა ერთ-ერთ განსახილველ საკითხად სკოლის ფილოსოფიაში ცვლილების შეტანის საკითხი დააყენა.
3. **შეიქმნა კითხვარი** სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრისთვის (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი). კითხვარის საშუალებით რესპოდენტს საშუალება ჰქონდა საკუთარი დამოკიდებულება გამოეხატა სკოლის მისია და ხედვისადმი, დათანხმებოდა, ან საჭიროების შემთხვევაში საკუთარი განსხვავებული იდეა მიეწოდებინა სკოლის წარმომადგენლებისთვის.
4. 2025 წლის 04 სექტემბერს სამუშაო ჯგუფმა **სკოლის მისია, ხედვასა და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხი განიხილა.** ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა სკოლაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე პროფესიული კოლეჯის გახსნა, რაც ხელს შეუწყობდა რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და სკოლის როლის გაძლიერებას.
5. 2025 წლის 08 სექტემბერს N5 პედ. საბჭოს სხდომაზე **შეთანხმდა განახლებული სტრატეგიული გეგმა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა.**
6. 2025 წლის 08 სექტემბერს N3 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის განახლებული მისია და ხედვა.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მთავარ მიმართულებებს.

მისიაში მკაფიოდ ჩანს ის ძირითადი მიზანი, რისთვისაც შეიქმნა სკოლა, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით, პიროვნული განვითარების წინ წამოწევით - ჩამოაყალიბოს კრიტიკულად მოაზროვნე, ზნეობრივად, ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი, ეროვნული მიზნებისა და ტრადიციების დამცველი პიროვნება.

განახლებული მისიის ნაწილია უწყვეტ პროფესიულ განათლების ხელშეწყობაზე ზრუნვა და ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს საფეხურების მიხედვით განაწილებული მისია (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური).

აღნიშნული მიმართულებები სრულ თანხვედრაშია ეროვნული მიზნების პრიორიტეტებთან და საშუალებას იძლევა პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების აღზრდას, რომლებიც შეძლებენ წარმატებით უპასუხონ თანამედროვე ბაზრის გამოწვევებს.

სკოლის ხედვით განსაზღვრულია ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიანი მიზანი. 2030 წლისთვის სკოლა თავს ხედავს როგორც წარმატებულ მრავალპროფილურ პროფესიულ ლიდერ დაწესებულებას, რომლის სტუდენტები შეძლებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანას და შრომის ბაზრის 90%-ით დაკმაყოფილებას. ამავდროულად სკოლა იქნება კონკურენტუნარიანი და მოსწავლეთა კონტიგენტი გაიზრდება 10-20%-ით.

სკოლის ხედვაც სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებთან.

სკოლის ღირებულებები - სამართლიანობა, გუნდურობა/თანამშრომლობა, ზრუნვა, ღიაობა - სრულ თანხვედრაშია განათლების ფუნდამენტურ პრინციპებთან.

ინდიკატორი 1.1.1.1 - სრულად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლა საკუთარი მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლის მისიაც და ხედვაც პირდაპირ შეიცავს უსაფრთხო გარემოს შექმნისა და პიროვნული განვითარების კონკრეტულ ნიშნულებს:

1. „სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის მისიაა ორგანიზებული სასწავლო პროცესითა და მაღალხარისხიანი განათლებით დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოსწავლე–ახალგაზრდობის აღზრდა, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, სოციო- კულტურული სივრცის შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და რეალიზებას...“ (მისია).
2. ჩვენი სკოლა იყოს უსაფრთხო და დაცული ადგილი (ხედვა).
3. სკოლა მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს (ხედვა).

ამავდროულად სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე, გუნდური/თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებაზე, უსაფრთხო საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფაზე, რაც სკოლას პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ წარმოაჩენს.

2025-2026 სასწავლო წელს **სკოლა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისიწინებით სთავაზობს:**

1. მეხუთე კლასის მოსწავლეებს მეორე უცხო ენის არჩევის შესაძლებლობას.
2. საშუალო საფეხურის მოსწავლეებს არჩევით საგანს - მესამე უცხო ენა.
3. მოსწავლეთა შეფასებისას განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს - ნიშანი იწერება მხოლოდ შემაჯამებელი შეფასებით.
4. ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრულ გამოცდას, ასევე საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდებს.
5. სადამრიგებლო პროგრამას, სადამრიგებლო საათს.
6. კვირაში ერთხელ „კითხვის საათს“.
7. ინკლუზიურ განათლებას (ამ ეტაპზე სკოლაში ირიცხება 4 სსსმ მოსწავლე).
8. სასკოლო, სოციალურ და სასწავლო პროექტებს, რომელთა თემებიც შეირჩევა მოსწავლეთა ჩართულობით სასწავლო წლის ბოლოს. ასევე საერთაშორისო პროექტებს.
9. ხელოვნების კლუბს - „საოცრება“
10. ლიტერატურულ კლუბს - „წიგნიერი“.

11. სამოქალაქო კლუბს - „ჰოში“.
12. დებატების კლუბს.
13. ისტორიის კლუბს.
14. თეატრალურ კლუბს.
15. ჭადრაკის კლუბს.
16. უცხო ენის კლუბს.
17. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა სკოლაში განხორციელდა 2025 წლის 1 სექტემბრიდან. ინიციატივის საფუძველს წარმოადგენდა სკოლის მზაობა, კერძოდ: შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის არსებობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი).
18. ცეკვის სტუდიას.

სკოლას არაფორმალური განათლებისთვის გამოყოფილი აქვს რამდენიმე სივრცე:

1. სააქტო დარბაზი.
2. ღია მოედანი.
3. დახურული დარბაზი.

ინდიკატორი 1.1.1.2 - სრულად დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და შესაბამისი სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას:
ა. პედაგოგიური საბჭო
ბ. სამეურვეო საბჭო
ასევე სკოლამ წარმოადგინა კითხვარი, რომლითაც სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში მოიძია და თავი მოუყარა სასკოლო საზოგადოების წევრთა მოსაზრებებს: მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი.
კითხვარი შედგებოდა შემდეგი საკითხებისგან:

1. საკუთარი პოზიციის დასახელება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი)
2. ვეთანხმები და ვიზიარებ სკოლის მიერ შემუშავებულ მისიას/ხედვას
3. საჭიროების შემთხვევაში დატოვეთ კომენტარი.

სასკოლო საზოგადოების ამგვარი ფორმით გამოკითხვა ცხადყოფს მის ჩართულობას მისია-ხედვის ჩამოყალიბებაში.

სკოლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ მისიისა და ხედვის საბოლოო ფორმირება მოხდა მონაწილეობის პრინციპით - განხილვის, უკუკავშირის და კოლეგიური გადაწყვეტილების მიღების გზით.

ინდიკატორი 1.1.1.3 - სრულად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა კრების ოქმები. ასევე ფოტომასალა (საინფორმაციო დაფა), რითაც დასტურდება, რომ სკოლის მისია და ხედვა სკოლას გაზიარებული აქვს სასკოლო საზოგადოებისთვის სხვადასხვა გზით.

ინდიკატორი 1.1.1.4 - სრულად დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული აქვს საჯაროდ - სკოლის საინფორმაციო სივრცესა და ვებ. გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 - სრულად დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან და საჯარო სკოლის სტატუსთან, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

ინდიკატორი 1.1.1.6 - სრულად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება N2-51 სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.
- სასკოლო საზოგადოებისთვის განკუთვნილი კითხვარი
- 2025 წლის 05 სექტემბრის სამუშაო ჯგუფის ოქმი N2
- 2025 წლის 03 ივნისის მშობელთა კრების ოქმი N1
- ღია კარის დღისა და სასკოლო სივრცეების ამსახველი ფოტომასალა
- 2025 წლის 08 სექტემბრის პედ. საბჭოს ოქმი N5
- 2025 წლის 08 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N3
- ისგ. სხდომის ოქმი N3
- ინდივიდუალური გეგმა (ისტორია)
- ისტორიის კლუბის ანგარიში
- I კლასის სადამრიგებლო პროგრამა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები"
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ვებ. გვერდი
- სკოლის სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების **შემუშავების მეთოდოლოგია,** რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს, არამედ სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც სკოლის მიერ შერჩეული ფორმით.

მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-122 11 აგვისტო 2023 წელი. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიულ დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე. გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ქვეპროცესები, რომელიც მოიცავს - მისიისა და ხედვის შემუშვება/გაზიარების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესს.

ასევე დარეგულირებულია გაზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, დაგეგმვის ეტაპები.

სტრატეგიული დაგეგმვის I ეტაპია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გადახედვა. II ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება მისიისა და ხედვის განაცხადში დეკლარირებული მიზნების შესაბამისად. III ეტაპზე სკოლა შეიმუშავებს

ერთწლიან სამოქმედო გეგმას. IV ეტაპზე ხორციელდება გეგმების მონიტორინგი და შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების განხორციელება. V ეტაპზე ფორმდება სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT მეთოდოლოგიას.

მეთოდოლოგიის X თავის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულია სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთან წარდგენა შესათანხმებლად. X თავს მოსდევს მუხლი 11 - სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება, რომლის მე-3 პუნქტით ითვალისწინებს დირექტორის მიერ დოკუმენტებში განხორცილებული ცვლილებების წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან შესათანხმებლად.

სვირის სკოლას, როგორც სსსიპ-ს, სტრუქტურული ერთეულის სახით უნდა ჰქონდეს სამეურვეო საბჭო. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge-ზე) ატვირთული სკოლის სტრუქტურის სქემა და სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომლებშიც კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლას მითითებული აქვს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული - სამეურვეო საბჭო. შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში სამეთვალყურეო საბჭოს ხსენება უფრო ტექნიკური სახის შეცდომაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია დაგეგმვის მეთოდოლოგიაში პროცესების აღწერის დროს სკოლამ მიუთითის სკოლაში მოქმედი რეალური სტრუქტურული ერთეულები „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისი დასახელებების მიხედვით, რომლებიც უფლებამოსილი არიან დაამტკიცონ სკოლის სტრატეგიული დოკუმენტები.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა, რომლის ხანგრძლივობა გათვლილია 7 წლიან პერიოდზე - 2023-2030 წლები. გეგმა შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს #5 სხდომაზე 2025 წლის 8 სექტემბერს. გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის - სამეურვეო საბჭოს #3 სხდომაზე 2025 წლის 8 სექტემბერს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარრმოადგინა აღნიშნული ოქმები.

სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის #3 ოქმის მიხედვით, ერთ-ერთ საკითხად განიხილეს სკოლის ბაზაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სწავლების დანერგვა, სტრატეგიული გეგმის გადახედვა, სკოლის მისიასა და ხედვაში ცვლილების შეტანა. აღნიშნული ოქმისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის საფუძველზე

დგინდება, რომ 2023 წელს განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები 2025 წლისთვის გადაიხედა და მასში განხორციელდა ცვლილებები. აღნიშნული კორექტირების ძირითადი მიზეზი გახდა სკოლის ბაზაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა, რამაც წარმოშვა ახალი პრიორიტეტების დასახვისა და სტრატეგიული მიმართულებების განახლების საჭიროება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა სკოლაში განხორციელდა 2025 წლის 1 სექტემბრიდან. ინიციატივის საფუძველს წარმოადგენდა სკოლის მზაობა, კერძოდ: შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის არსებობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი და სკოლის ეფექტური განვითარების ხედვა. აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია **დირექტორის ბრძანებით #2-62 16/06/2025**. სკოლამ დანართის სახით წარმოადგინა პროფესიული პროგრამა.

აღსანიშნავია, რომ **ცვლილების შეტანა სტრატეგიულ გეგმაში სკოლამ განახორციელა მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.** კერძოდ, მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის საფუძველზე, რომლითაც გათვალისწინებული იყო ცვლილების საჭიროების განხილვა სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე. სკოლამ წარმოადგინა **სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 4 სექტემბერი 2025 წელი,** რომლის დღის წესრიგის მთავარი საკითხია სკოლის მისია/ხედვაში და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხი. ასევე **სამუშაო ჯგუფის ოქმი #2 5 სექტემბერი 2025 წელი** - სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბების შესახებ.

2023 წელს სკოლას დასახული ჰქონდა 6 სტრატეგიული მიზანი: 1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, 2. კვალიფიციური კადრები, 3. არაფორმლაური განათლების გაძლიერება, 4. ციფრული ტრანსფორმაცია, 5. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, 6. მონიტორინგი და შეფასება.

აღნიშნული 6 მიზანი ახალი გეგმის ვერსიაში უცვლელი დარჩა და დაემატა მე-7 მიზანი - საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის სწავლების დანერგვის ხელშეწყობა.

რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ იმუშავა სტრატეგიულ გეგმაზე. სტრატეგიულ გეგმის შესავალში მითითებულია, რომ სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა მუშაობის პერიოდში გამოვლენილ სკოლის საჭიროებებზე დაყრდნობით განსაზღვრა სკოლის სტრატეგია და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და წარმოდგენილი მასალების შესწავლით ირკვევა, რომ სტრატეგიაზე იმუშავა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა დირექტორის ბრძანებით. სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი სხვა ფუნქციური დატვირთვის რგოლია, რომელიც ემსახურება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და არა სტრატეგიულ დაგეგმვას. წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძვლეზე შგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული უზუსტობა ტექნიკური ხასიათის შეცდომაა.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია მისიასა და ხედვასთან. კერძოდ, მისიაში და ხედვაში აქცენტი გაკეთებულია მრავალპროფილური პროგრამების დანერგვაზე, მაღალი შედეგების მიღწევაზე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, პროფესიული სტუდენტისათვის უწყვეტი პროფესიული განათლების მიცემაზე და ა.შ.

სტრატეგიული გეგმა შეიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს კონკრეტული ნაბიჯების სახით, რომლებიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია დაგეგმვის დოკუმენტების შედგენის პროცესში სკოლამ მეტი სიზუსტითა და ყურადღებით იმუშავოს დეტალებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხასიათის შეცდომები ოფიციალურ დოკუმენტაციაში და არ მოხდეს სკოლაში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული რგოლების/სამუშაო ჯგუფების ფუნქციების აღრევა.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოთხოვნების დაცვით და სამართლებრივად დამტკიცებულია სკოლის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულების მიერ. სკოლამ წარმოადგინა **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 8 სექტემბერი 2025 წელი.**

ინდიკატორის მოთხოვნის მიხედვით, სამოქმედო გეგმით სკოლის ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. ერთწლიან გეგმაში გაწერილი აქტივობები უნდა ემსახურებოდეს სტრატეგიული მიზნების ამოცანების შესრულებას და დასახული მიზნების მიღწევას.

წარმოდგენილი 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა არ არის ორიენტირებული სკოლის დასახულ სტრატეგიულ მიზნებზე და შესაბამის ამოცანებზე. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების ერთი ნაწილი ემსახურება განსხვავებული ამოცანებისა და შესაბამისად სხვა მიზნების შესრულებას და არ ემსახურება 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების მიღწევას. მაგ. სკოლის სამოქმედო გეგმის მიხედვით - #1 სტრატეგიული მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, რომლის შესაბამისი ამოცანებად გეგმაში გაწერილია: 1. ახალი პროგრამების შემუშავება, 2. სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა, 3. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, 4. აკადემიური მოსწრების

გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა. **მსგავსი ამოცანები არაა დასახული სკოლის მოქმედი სტრატეგიული გეგმით და გაურკვეველია რომელი ამოცანების შესრულებას ემსახურება სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობები.**

ინდიკატორის მოთხოვნაა, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნებოდეს სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმის შედგენამდე სკოლა ახორციელებს სკოლის თვითშეფასებას, მტკიცებულებადაც სკოლამ წარმოადგინა შემდეგი მასალა**:**

- 2024-2025 ს/წლის სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში - მონიტორინგის შედეგი (ცხრილის სახით) 2025 წლის ივნისის მდგომარეობით
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი #4 19.06.2025 წელი (მოცემულია 2024-2025 ს/წ განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების, ასევე ღია გაკვეთილების განხილვა
- პირველი კლასის სადამრიგებლო პროგრამა 2025-2026 ს/წ
- ისტორიის კლუბის „დიდგორის“ წლიური ანგარიში - 2024-2025 ს/წლისათვის.
- დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ (სამეურვეო საბჭოს ოქმი #6 10 დეკემბერი 2025 წელი). ანგარიშში შეფასებულია სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესები (მოსწავლეთა სტატისტიკური მონაცემები, სკოლაში ჩატარებული გამოცდები, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, ინკლუზიური განათლების თემები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სხვა).
- დირექტორის 2025 წლის ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი.
- 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შუალედური შესრულების ანგარიში.

2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტის შესახებ სკოლა ექსპერტებისათვის წარმოდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნავს, რომ 2024-25 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნა სკოლის შემდგომი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. კერძოდ, მოხდა რესურსების ოპტიმიზაცია პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებების ინტეგრირებისთვის.

2024-2025 ს/წლის სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში - მონიტორინგის შედეგი წარმოდგენილია ცხრილის სახით 2025 წლის ივნისის მდგომარეობით, რომელშიც მითითებულია შემდეგი: *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობდა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის ფილოსოფიიდან და სკოლის სტრატატეგიული მიზნებიდან. გეგმაში გაწერილი იყო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით*

მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსო მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულებისა/ამოცანის/ აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ გაკეთდა განხორციელებული მონიტორიგის შედეგების ანალიზი (ციტატის დასასრული). **თუმცა სკოლას ერთიანი დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია სკოლის თვითშეფასება, როგორც 2024-2025 ს/წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საერთო ანალიზი.**

წარმოდგენილი 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგის დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობები არ არის ორიენტირიბეული სკოლის მოქმედ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაბამისად ერთწლიან გეგმაში გაწერილი აქტივობები არ ემსახურება სტრატეგიული მიზნების ამოცანების შესრულებას და დასახული მიზნების მიღწევას. კერძოდ: აქტივობები მიემართება ისეთ სტრატეგიულ მიზნებს და ისეთ ამოცანებს, რომლებიც მოქმედი სტრატეგიული გეგმით არ არის გათვალისწინებული. მაგ. სამოქმედო გეგმის მიხედვით #1 სტრატეგიული მიზანია - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, მაშინ როცა ასეთი შინაარსის ან/და ფორმულირების სტრატეგიული მიზანი (და მისი შესაბამისი ამოცანები) 2023-2030 წლების სტრატეგიულ გეგმაში არ არის მოცემული. კიდევ, #4 მიზანი - უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, არც ასეთი შინაარსის ან/და ფორმულირების სტრატეგიული მიზანი (და მისი შესაბამისი ამოცანები) არ არის 2023-2030 წლების სტრატეგიულ გეგმაში.

დოკუმენტაციის შესწავლით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ცალკეული პროცესების ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტები 2024-2025 ს/წ და 2025-2026 ს/წ, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა იმის გარკვევის შესაძლებლობას, თუ რამდენად ეფუძნება 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა სკოლის 2024-2025 ს/წლის შეფასებას.

ავტორიზაციის დასკვნაში (13.12.2023წ.) მითითებული იყო, რომ ,,სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას“. შესაბამისად ინდიკატორი 1.2.1.3 შეფასებული იყო, როგორც სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისი.

მონიტორინგის დასკვნის პროექტში სკოლას დაფიქსირებული ჰქონდა ხარვეზი: 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სკოლის 2023-2030 წწ. სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა.

რეკომენდაცია: ***სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის შესრულება - 2026-2027 ს/წ სამოქმედო გეგმის სრული შესაბამისობა სკოლის 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმის მიზნებთან (სამოქმედო გეგმის შემუშავება,***

გაზიარება და დამტკიცება) და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება გეგმით დათქმულ ვადებში 15.06.2026 - 30.06.2027.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ ყოველწლიური თვითშეფასება განახორციელოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის ერთიანი დოკუმენტის ფორმატში, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება კონკრეტულ სასწავლო წელს სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი და დაგეგმილი აქტივობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას - ყოველწლიური თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებას ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, სადაც უნდა გამოჩნდეს გამოვლენილ გამოწვევებთან გამკლავების გზები.

ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. კერძოდ:
2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით სკოლას დასახული აქვს 7 სტრატეგიული მიზანი (და მათი შესაბამისი ამოცანები):

- 1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა,
- 2. კვალიფიციური კადრები,
- 3. არაფორმლაური განათლების გაძლიერება,
- 4. ციფრული ტრანსფორმაცია,
- 5. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა,
- 6. მონიტორინგი და შეფასება.
- 7. საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის სწავლების დანერგვის ხელშეწყობა.

2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში სკოლას სტრატეგიულ მიზნებად მითითებული აქვს განსხვავებული შინაარსისა და ფორმულირების მქონე სტრატეგიული მიზნები და განსხვავებული ამოცანები. კერძოდ:

- 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
- 2. ადამიანური რესურსების განვითარება
- 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
- 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა
- 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
- 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება
- 7. ორგანიზაციული განვითარება
- 8. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია
- 9. პროფესიული პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ხელშეწყობა

ინდიკატორის მოთხოვნაა **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყოს ისეთი აქტივობები, რომლებიც სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი იქნება. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა კი მოიცავს ისეთ სკოლის მოქმედი სტრატეგიული გეგმისაგან განსხვავებულ სტრატეგიული მიზნებს. მაგ. წარმოდგენილ 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში არანაირი ფორმულირებით არის ასახული სტრატეგიული მიზანი, როგორიცა არაფორმალური განათლების გაძლიერება,** საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და მონიტორინგი და შეფასება. სხვა სტრატეგიული მიზნები, როგორიცაა სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, კვალიფიციური კადრები, არაფორმალური განათლების გაძლიერება და ციფრული ტრანსფორმაცია სამოქმედო გეგმაში მოცემულია განსხვავებული ფორმულირებებით და სახეცვლილი ამოცანებით.

გარდა ამისა, გეგმით გაწერილი **რიგი აქტივობები ზოგადი ხასიათისაა და აქტივობის შინაარსი საჭიროებს დაკონკრეტებას.** მაგ. სკოლის ამოცანად დასახულია ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება-დანერგვა, შესაბამის აქტივობებში კი წერია - მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება. **არ ჩანს - კონკრეტულად რა სახის პროგრამებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს.**

კიდევ ერთი მაგალითი - სკოლის ამოცანად დასახულია სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა - შესაბამისი აქტივობაა - შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა. **ეს აქტივობა უფრო შაბლონურია და არ ჩანს აქტივობის კონკრეტული შინაარსი,**

შეთავაზებული პროექტების შინაარსი. მაგ. შედარებისათვის ამავე სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად მითითებულია დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, რაც კონკრეტული აქტივობაა. ასევე კონკრეტული აქტივობაა პერიოდული გამოკითხვების ჩატარება, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა. ინდიკატორის მოთხოვნაა აქტივობებში მოცემული იყოს უფრო კონკრეტული ქმედებები.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული გეგმა თავისი გაწერილი ამოცანებით ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტებია.

რაც შეეხება ინდიკატორის მოთხოვნას, რომ სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, რეალისტურ ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს და შესაბამის რესურსებს, ამ ნაწილში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს ზემოთაღნიშნულ კომპონენტებს. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები და შესაბამისი ამოცანები განსხვადება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანებისაგან, შეუძლებელია შესაბამისობის დადგენა აქტივობასა და მისი შესრულების გაზომვად ინდიკატორებს შორის და ა.შ.

ავტორიზაციის დასკვნაში (13.12.2023წ.) მითითებული იყო, რომ სკოლას ვიზიტის დროს სამოქმედო გეგმაში გაწერილი არ ჰქონდა ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სკოლას არსებულ სამოქმედო გეგმაში ცვლილებები უნდა შეეტანა 30.11.2023 წ. პერიოდში. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც იღებდა ვალდებულებას, რომ სკოლა არსებულ სამოქმედო გეგმაში ცვლილებებს შეიტანდა 30.11.2023 წ. პერიოდში. შესაბამისად დასკვნაში ინდიკატორი 1.2.1.4. შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შეესაბამება.

მონიტორინგის დასკვნის პროექტში სკოლას დაფიქსირებული ჰქონდა ხარვეზი: 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები და მათი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა.

რეკომენდაცია: ***სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის შესრულება - სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისთვის კონკრეტული ნაბიჯების, რაოდენობრივი ინდიკატორების და საჭირო მატერიალური რესურსების დეტალური გაწერა გეგმით დათქმულ ვადებში 15.06.2026 – 10.09.2026.***

რჩევა: მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმაში აქტივობების გაწერის დროს აქტივობები მოცემული იყოს კონკრეტული ნაბიჯების სახით, რომლებიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ პერიოდში და ეს აქტივობები ასახავდეს ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ უფრო კონკრეტულ ქმედებებს.

ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 8.09.2025წ. - სამოქმედო გეგმის განხილვა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #6 10.12.2025 წელი - დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის შესახებ
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“.
- დირექტორის ბრძანება #2-51 10.05.2023წ. - ფილოსოფიის საკითხებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიის შემუშავებასა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.
- სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი - სამეურვეო საბჭოსადმი
- ისტორიის კლუბის „დიდგორის“ წლიური ანგარიში - 2024-2025 ს/წლისათვის
- 2024-2025 ს/წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საერთო ანალიზი.
-

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მე-12 თავი შეეხება სტრატეგიული და სამოქმედო

გეგმების მონიტორინგს და შეფასებას. კერძოდ, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტარტეგიული გგეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. დოკუმენტი ცალკე გამოყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესს. მითითებულია, რომ შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი გზა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახდენს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის შედეგი 2026 წლის იანვრის მდგომარეობით. მონიტორინგის შედეგი მოცემულია ცხრილის სახით, სადაც მონიშნულია აქტივობის შესრულების სტატუსი - შესრულდა, არ შესრულდა და ნაწილობრივ შესრულდა. ცხრილს ახლავს შენიშვნის გრაფა, სადაც მოცემულია კომენტარები იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც არ შესრულებულა ან ნაწილობრივ შესრულდა. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 20.01.2026 წელი, რომლის დღის წესრიგშიც გათვალისწინებულია საკითხი სკოლის განვითარების 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის საკითხის განხილვა. **თუმცა ოქმიდანაც ჩანს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები არ არის სტრატეგიული მიზნების და მათი შესაბამისი ამოცანების შესაბამისი.** კერძოდ, ოქმში მითითებულია, რომ სკოლას განსაზღვრული ჰქონდა შემდეგი მიზნები:

- 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება,
- 2. ადამიანური რესურების განვითარება,
- 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება,

- 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა,
- 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა,
- 6. მოსწავლეთა მხარდაჭრის გაუმჯობესება,
- 7. ორგანიზაციული განვითარება,
- 8. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია,
- 9. პროფესიული პროგრამა „კომპიუტერული ქსელები და სისტემების“ ხელშეწყობა

სამეურვეო საბჭოზე განხილული სტრატეგიული მიზნები არ არის თანხვედრაში სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიულ გეგმით დასახული 7 სტრატეგიული მიზნიდან 3 მიზანთან. კერძოდ:

1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა,** 2. **კვალიფიციური კადრები,** ***3. არაფორმალური განათლების გაძლიერება,*** 4. **ციფრული ტრანსფორმაცია,** *5. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, 6. მონიტორინგი და შეფასება,* 7. საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის სწავლების დანერგვის ხელშეწყობა).

რაც შეეხება სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას. სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს განხორციელებული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, რომელსაც სკოლის განმარტებით განახორციელებს სასწავლო წლის ბოლოს.

სკოლამ წარმოადგინა **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-52 10.05. 2023 წელი - სტრატეგიული გეგმის და შეფასების შიდა სასკოლო ჯგუფის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანება სკოლამ წარმოადგინა ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის საფუძველზე როგორც მტკიცებულება იმისა, რომ სკოლაში ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. თუმცა აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია შეცდომა, მითითებულია, რომ ჯგუფს ევალება სტრატეგიული გეგმის შექმნა და არა მისი მონიტორინგი.**

სკოლამ წარმოადგინა იმავე დღეს გამოცემული სხვა ბრძანებაც - დირექტორის ბრძანება #2-51 10.05. 2023 წელი - სტრატეგიული გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

ავტორიზაციის დასკვნაში (13.12.2023წ.) მითითებული იყო, რომ „მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით“. ინდიკატორი 1.2.2.2. შეფასებული იყო, როგორც სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

ინდიკატორის მოთხოვნაა, სკოლამ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები (ანგარიში) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების შესახებ.

საჯაროობის უზრუნველყოფის ყველაზე მარტივი გზა მისი ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაა. სკოლას განხორციელებული აქვს 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, ასევე 2024—2025 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების ანაგრიში, თუმცა **სკოლის ვებ-გვერდზე ასეთი დოკუმენტი ატვირთული არ არის.**

ავტორიზაციის დასკვნაში მითითებულია, რომ მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლას სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება უნდა მოეხდინა 2024 წლის იანვარში. სკოლას სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროდ უნდა გაეხადა 2024 წლის იანვარში. სკოლაში არის მონიტორინგის განხორციელებისა და შედეგების გასაჯაროვების პრაქტიკა. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას. ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი.

მონიტორინგის დასკვნის პროექტში სკოლას დაფიქსირებული ჰქონდა ხარვეზი: სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები არ არის საჯარო - არაა ატვირთული სკოლის ვებ-გვერდზე. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა.

რეკომენდაცია: ***სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის შესრულება - სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების ატვირთვა სკოლის ვებ-გვერდზე გეგმით დათქმულ ვადებში 15.06.2026 – 18.06.2026.***

ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლა მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს შემდგომი განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს. აღნიშნული დასტურდება ექსპერტებისათვის წარმოდგენილი სკოლის განმარტებითი ბარათით, სადაც აღნიშნულია. რომ 2024-25 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებული იქნა სკოლის შემდგომი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. კერძოდ, მოხდა რესურსების ოპტიმიზაცია პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებების ინტეგრირებისთვის. პროფესიული პროგრამის ამოქმედება სკოლაში განხორციელდა 2025-2026 ს/წ დასაწყისში. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (პროფესიული პროგრამა, სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-51 10.05. 2023 წელი - სტრატეგიული გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-52 10.05. 2023 წელი - სტრატეგიული გეგმის და შეფასების შიდა სასკოლო ჯგუფის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების დამტკიცების შესახებ
- 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის შედეგი 2026წ. იანვრის მდგომარეობით.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 20.01.2026 წელი, რომლის დღის წესრიგშიც გათვალისწინებულია საკითხი სკოლის განვითარების 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი: 19 ივნისი 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: